27/10/2025

MES 4 25 0001414660

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლა:
დავით ნაკაშიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობი სქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა:
სალომე სარალიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლა:
ნანა ბოხუა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლა:
ლია ჩანდიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ფოთის N8 საჯარო სკოლა:
ჭაბუკი ქოიავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლა:
მადონა ივანიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლა:
ა) ნინო ბეგლარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა დარსაველიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა მოსიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლა:
ა) ელენე კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ვერა ბენიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა ღაჭავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლა:
ა) დავითი ჩივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატო კლდიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ფიქრია მუმლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ მატიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევანი ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ფოთის N8 საჯარო სკოლა:
ა) ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა კამკამიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაკა ყიფშიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლა:
ა) ეკა თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეთერ მეტრეველი(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ანა ტაბატაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნადია დაბრუნდაშვილი(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 13 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ ფოთის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ სსიპ-ქალაქ მცხეთის N2 საჯარო სკოლის დოკუმენტაციას ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი და საბჭოს წევრებმა ვერ შეძლეს საკითხის სრულყოფილად შესწავლა, შესაბამისად დააყენა შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის გადადებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ფოთის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 და 31 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის. ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას სკოლა ახორციელებდა ოთხ მისამართზე: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო, ამავე სოფლის დავითაძეებისა და ზანაქედის უბნებსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონეთში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოში.
ექსპერტმა, ნინო ბეგლარაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს”, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის ძირითადი შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა მდგომარეობა იყო სპორტის, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების დასაქმებასთან და დავითაძეების უბანში მდებარე შენობის შემოღობვასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, დავით ნაკაშიძემ, აღნიშნა, რომ სპორტის მასწავლებელმა ჩააბარა გამოცდა და ჰქონდა დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო სხვა მიმართულებით აპირებდნენ ვაკანსიის გამოცხადებას. ღობის გაკეთებასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სკოლა საკუთარი რესურსით ვერ შეძლებდა შემოღობვას და მიმართული ჰქონდა როგორც აჭარის განათლების სამინისტროსთვის, ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის და უახლოეს მომავალში აღმოიფხვრებოდა აღნიშნული პრობლემა.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, მიღებულ რჩევებსა და რეკომენდაციებზერა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას. აქვე, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მასწავლებლების დასაქმებასთან დაკავშირებით მიემართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის.

სკოლის დირექტორის თქმით, გარკვეული რეკომენდაციები გათვალისწინებული ჰქონდათ,შექმნილი იყო სკოლის განახლებული სტრუქტურა, ხოლო მეორე სტანდარტთან მიმართებით მიღებულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე კათედრებს დაწყებული ჰქონდათ აქტიური მუშაობა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს შეეფასებინა, თუ როგორი იყო სკოლის წარმომადგენლების მზაობა ექსპერტთა მიერ გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.
ექსპერტის, ნინო ბეგლარაშვილის თქმით, სკოლის დირექცია და მასწავლებლები იყვნენ საკმაოდ კომპეტენტურები, ადგილზე გაცემულ რჩევებზე ჰქონდათ დროული რეაგირება. მისი თქმით, სკოლას მიღებული ჰქონდა მრავალი გრანტი და მასწავლებლები გამარჯვებული იყვნენ სხვადასხვა პროექტში, ჰქონდათ მაღალი მზაობა და კომპეტენცია მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:56
დასრულების დრო - 15:02

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლას (ს/კ: 248386768) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონეთი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახო (დავითაძეების უბანი); ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახო (ზანაქედის უბანი).
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი მახო.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ოქტომბერში, 2.2 და 3.1 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის და სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლების დასაქმების, 2027 წლის ოქტომბერში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, შენობა-ნაგებობების (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახო; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიმონეთი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახო (დავითაძეების უბანი); ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მახო (ზანაქედის უბანი)) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, სოფელ დავითაძეების ტერიტორიაზე განთავსებული სკოლის შენობის შემოღობვის (ხევისგან იზოლირება), შენობების ადაპტირების (სოფელი სიმონეთი, დავითაძეებისა და ზანაქედის უბნების) დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს რომ არ ჰქონდათ აცილება. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს

სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22 აგვისტოს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 სექტემბრის N1179238 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2400 მოსწავლით, ხოლო ვიზიტის დროს აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 2320.
ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტის (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასება, რომელიც შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართა გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსზე და აღნიშნა, რომ შესრულებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- საგანგებო სიტუაციების შტაბის შექმნა;
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმება;
- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღება;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების მიღების უზრუნველყოფა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში მდგომი ჰაერის გამწოვი მოწყობილობის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;
- ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა;
- სკოლის ვებ-გვერდის შექმნა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;
- ვებ-გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციების განთავსება;
- სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის დამტკიცება;
- სამოქმედო გეგმის შესაბამისად მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების სკოლის ვებ-გვერდზე განთავსება.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო მუზეუმი, განახლებული ბიბლიოთეკა, რომლის მოწყობა და აღჭურვა განხორციელდა საქართველოს ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.
აქვე, ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივის „სკოლები-მომავლის პარტნიორები“ უცხოეთში სასკოლო განათლების ცენტრალური უწყების ZFA-ის ერთ-ერთი პარტნიორი სკოლა იყო. გაფორმებული ჰქონდა გრძელვადიანი პარტნიორობის ხელშეკრულება, რაც სკოლის მოსწავლეებს აძლევდა შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღოთ გაცვლით პროგრამებში, ეცხოვრათ გერმანულ ოჯახებში და მონაწილეობა მიეღოთ სასკოლო და კულტურულ ღონისძიებებში. აგრეთვე, სკოლას მინიჭებული ჰქონდა უფლება გერმანული ენის დიპლომის (DSD2) გამოცდების ჩატარების.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ქუთაისის სხვა სკოლებთან, აღნიშნული დაადასტურა საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:16
დასრულების დრო: 15:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის N1 საჯარო სკოლის (სკ: 212708042) მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ჩივაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ყაზბეგის

მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 24 და 25 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 450. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450 მოსწავლისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა ორ მისამართზე, კერძოდ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, ვ. ფიცხელაურის ქუჩა N13-ში და ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, გერგეტის უბანი N7-ში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, ვ. ფიცხელაურის ქუჩა N13-ში.

ექსპერტმა, დავით ჩივაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს”, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობების ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობები იყო ახლადრეაბილიტირებული, შექმნილი ჰქონდათ კეთილმოწყობილი გარემო. მისი თქმით, სკოლის ძირითად შენობაში ასევე მდებარეობდა კოლეჯი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას, დაასაქმეს თუ არა სპეციალური მასწავლებელი და ვინაიდან სკოლის ძირითად შენობაში იყო კოლეჯიც, დაინტერესდა რამდენად უზრუნველყოფილი იყო მოსწავლეთა უსაფრთხოება.

ექსპერტმა, დავით ჩივაძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ერთი მოსწავლე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ კოლეჯსა და სკოლას შორის სივრცე გამიჯნული არ იყო, თუმცა დაწესებულებებს ჰქონდა სხვადასხვა შესასვლელი.

სკოლის დირექტორის, ლია ჩანდიშვილის თქმით, დაწესებულებამ აიყვანა სპეციალური მასწავლებლის კადრი, მიმდინარე პერიოდში სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ორი მოსწავლე, ასევე, განხორციელდა მასწავლებლების სერტიფიცირებული მასწავლებლებით ჩანაცვლება, გარდა სპორტისა დაწყებით საფეხურზე.

საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, რა ვითარება იყო ექიმის დასაქმებასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორის თქმით, რეგიონში იყო კადრების დეფიციტი, თუმცა, გამოცხადებული ჰქონდათ ექიმის ვაკანსია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:38
დასრულების დრო - 15:41

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 241494209) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, ვ.ფიცხელაურის ქუჩა N13; ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, გერგეტის უბანი N7.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, ვ.ფიცხელაურის ქუჩა N13.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, ვ.ფიცხელაურის ქუჩა N13.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის ოქტომბერში 2.2, 3.1 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, სპეციალური მასწავლებლის დასაქმების, ფსიქოლოგის უფლება-მოვალეობების დაზუსტების, საქმისმწარმოებლის პოზიციაზე კადრის დასაქმების, დაწყებით საფეხურზე ფიზიკური აღზრდის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კომპეტენციების მქონე პედაგოგების დასაქმების,, ორივე შენობის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის, ექიმის კადრის დასაქმებისა და გერგეტის უბანში მდებარე შენობაში სამედიცინო პუნქტის მოწყობის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში, ორივე შენობის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნებისა და სკოლის ძირითად კორპუსში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, ვ.ფიცხელაურის ქუჩა N13) ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ ფოთის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ინა ბიწაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ფოთის N8 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 და 18 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 600. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას არსებული ინვენტარით შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 450 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ინა ბიწაძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ინა ბიწაძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულების ძლიერ მხარეს წარმოადგენდა STEM მიმართულების გაძლიერება. ასევე,

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პროექტულ სწავლებას, საგრანტო კონკურსის ფარგლებში სკოლას მოპოვებული ჰქონდა 12000 ლარიანი გრანტი, რომლის დიდი ნაწილი მოხმარდა სკოლის ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვას. ექსპერტის თქმით, სკოლა იყო საერთაშორისო ორგანიზაცია GLOBE-ის წევრი, მოსწავლეები კი ჩართული იყვნენ კეცხოველის პროექტში ხორვატიელ მოსწავლეებთან ერთად.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა სკოლამ მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის, ასევე, რა სტრატეგიებით აპირებდა მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდას.
სკოლის დირექტორმა, ჭაბუკი ქოიავამ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა, მიმართული ჰქონდა პასუხისმგებელი ორგანოსთვის შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღებისთვის, ასევე, შეიკრიბა კათედრები და დაიწყეს მიღებულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე მუშაობა. მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ სკოლა მდებარეობდა მჭიდროდ დასახლებულ ადგილას. მისი თქმით ვინაიდან თავდაპირველად სკოლის შენობა არ იყო სტანდარტების შესაბამისი, ხდებოდა მოსწავლეთა გადინება, თუმცა, მას შემდეგ, რაც სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია და ჰქონდა მრავალი წარმატება მოპოვებული, მოსწავლეთა მიმართვიანობა იყო გაზრდილი.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის რა მექანიზმები ჰქონდა სკოლას და ასევე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თუ ჰქონია კომუნიკაცია სკოლის წარმომადგენლებს.
სკოლის დირექტორის თქმით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები ჩართული იყვნენ პროექტში „ცეზიუმი“, ასევე, სხვა კათედრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგს მათი საგნის ფარგლებში.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში იყო ხარვეზი, კერძოდ ყველა კურიკულუმი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ფორმით, ასევე ცარიელი იყო კომპლექსური დავალებების სვეტები და მიმართა ექსპერტს აღნიშნულთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, მაკა ყიფშიძემ, აღნიშნა, რომ თავდაპირველად წარმოდგენილ კურიკულუმებში ნამდვილად იყო მსგავსი ხარვეზი, თუმცა, ვიზიტის დროს შეიმუშავეს ერთიანი ფორმა და გადმოაგზავნეს გამოსწორებული. მისი შეფასებით, სკოლის მასწავლებლებსა და დირექციას ჰქონდათ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მზაობა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, არაფორმალურ განათლებაში განხორციელებული პროექტები ჩაეშენებინათ კურიკულუმებშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ფოთის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:55
დასრულების დრო - 16:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ფოთის N8 საჯარო სკოლას (ს/კ: 215113277) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ფოთი, ნელი არზიანის ქუჩა N 10.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ფოთი, ნელი არზიანის ქუჩა N 10.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ფოთი, ნელი არზიანის ქუჩა N 10.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ეკა თაბუაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 და 31 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 160. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 160 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ეკა თაბუაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს”.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში და სტრატეგიული განვითარების გეგმაში იყო ჩანაწერი, რომელიც ეხებოდა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ინოვაციურ და ციფრულ მიდგომებს, თუმცა შვიდწლიან და ერთწლიან გეგმებში არ იკითხებოდა ხედვის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობები და დაინტერესდა, რამ განაპირობა აღნიშნული, ასევე, აღნიშნა, რომმ სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იკითხებოდა შეფასების პრინციპები და საშემოდგომო გამოცდების შესახებ ინფორმაცია.

სკოლის დირექტორმა, მადონა ივანიძემ, აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა ტექნოლოგიების მიმართულებით მოსწავლეთა გაძლიერებაზე და ამ მიზნით თანამშრომლობდა რეგიონის სხვა სკოლებთან. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაცია შვიდწლიან და ერთწლიან გეგმებთან დაკავშირებით, გათვალისწინებული ჰქონდათ.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა რა მდგომარეობა იყო იმ მასწავლებლებთან მიმართებით, რომლებიც ვიზიტის დროისთვის ვერ აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ განახორციელეს შიდა გადანაწილება. მისი თქმით, გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსიები, თუმცა, ვინაიდან დაწესებულება მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში, იყო კვალიფიციური კადრების სიმცირე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:17
დასრულების დრო - 16:22

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლას (ს/კ: 223104352) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტოლოში.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტოლოში.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტოლოში.

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის დეკემბერში, შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის, 2026 წლის ოქტომბერში 2.2, 3.1 და 3.4 კომპონენტებთან მიმართებით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პერსონალის აყვანის, I-IV კლასებში სპორტის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, III-IV კლასებში ინგლისურისა და ხელოვნების მასწავლებლების დასაქმების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო 2027 წლის ოქტომბერში, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:25 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე